

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

დადგენილების პროექტი მოზადებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16, 24-ე, 91-ე მუხლების და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად და განსაზღვრავს 2025 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს;

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

პროექტით ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლისათვის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების და გასაწევი გადასახდელების ნუსხის დამტკიცება საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად.

ა.გ) პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2025 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობები;

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

❖ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 455,000.0 ათას ლარს.

➤ **გადასახადების** საპროგნოზო მაჩვენებლები შეადგენს 115,911.9 ათას ლარს. საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 61-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების შესაბამისად. მათ შორის:

✓ **ქონების გადასახადი** - 48,000.0 ათასი ლარი, რომელიც 2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 9,1%-ით (4,000.0 ათასი ლარით).

✓ **დამატებული ღირებულების გადასახადები** - 67,911.9 ათასი ლარი. 2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 9.2%-ით (5,694.7 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე და საპროგნოზო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტით;

➤ **ფინანსური დახმარების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 232,202.1 ათასი ლარით: მათ შორის:**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მისაღები - კაპიტალური ტრანსფერი - 132,341.0 ათასი ლარი და სპეციალური ტრანსფერი - 99,659.0 ათასი ლარი. რაც მიმდინარე წლის ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 29,810.0 ათასი ლარით.

გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებიდან - 202.1 ათასი ლარით.

➤ **სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 2025 წლისთვის განისაზღვრა 93,886.0 ათასი ლარის ოდენობით:**

✓ საკუთრებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 6,336.0 ათასი ლარის ოდენობით. აქედან:

- პროცენტების სახით დაგეგმილია 3,900.0 ათასი ლარის მობილიზება;

- რენტის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2,436.0 ათასი ლარის ოდენობით.

✓ საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 76,050.0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის:

- სანებართვო მოსაკრებლები - 1,500.0 ათასი ლარის ოდენობით.

- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 68,000.0 ათასი ლარის ოდენობით.

- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 6,000.0 ათასი ლარის ოდენობით.

- სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი - 550.0 ათასი ლარის ოდენობით

✓ ჯარიმებით, სანქციებითა და საურავებით მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 10,000.0 ათასი ლარის ოდენობით.

✓ შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1,500.0 ათასი ლარის ოდენობით.

არაფინანსური აქტივების (ქონების გაყიდვიდან) კლების მაჩვენებელი განისაზღვრა 13,000.0 ათასი ლარით.

ფინანსური აქტივების ცვლილება (კლება) - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს - 45,000.0 ათას

ლარს, რაც 2024 წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებთან მიმართებაში გადაჭარბებით მიღებული ფინანსური სახსრებია.

❖ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 500,000.0 ათას ლარს. (დანართი 1)

ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები გადანაწილდა შემდეგნაირად:

- ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 53.6% - 267,972.4 ათასი ლარი მოდის ხარჯებზე, მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება - 55,455.3 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში შრომის ანაზღაურების მუხლი გაზრდილია, რაც განპირობებულია 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნით (საბაზო თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 1 460 ლარის ოდენობით, ნაცვლად 1330 ლარისა) და ასევე ახალი საბავშვო ბაღების გახსნასთან დაკავშირებით თანამშრომლების რაოდენობის ზრდით.

- საქონელი და მომსახურება - 88,779.1 ათასი ლარი;

- პროცენტი - 6,082.5 ათასი ლარი;

- გრანტები - 15.0 ათასი ლარი;

- სუბსიდიები - 28,238.5 ათასი ლარი;

- სოციალური უზრუნველყოფა - 20,076.3 ათასი ლარი;

- სხვა ხარჯები - 69,325.7 ათასი ლარი;

✓ მთლიანი ასიგნებების 38.2% - 191,177.0 ათასი ლარი მოდის არაფინანსური აქტივების ზრდაზე.

✓ ადგილობრივი ბიუჯეტიდან ვალდებულებების (სესხის ძირი თანხის) დაფარვას 40,850.6 ათასი ლარი მოხმარდება, რაც მთლიანი ასიგნებების 8.2%-ია.

• პროგრამული კლასიფიკაციის შესაბამისად პრიორიტეტების მიხედვით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგნაირად:

1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება - 64,399.5 ათასი ლარი, მათ შორის:

▪ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო - 3,696.3 ათასი ლარი;

▪ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია - 9,845.1 ათასი ლარი;

▪ სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა - 46,933.1 ათასი ლარი, რომელიც მიმართება გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW, I-II-III-IV-V ფაზა და მდგრადი ურბანული განვითარება - ურბანული მობილობა ბათუმში) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხის მომსახურებაზე.

▪ სარეზერვო ფონდი - 3,500.0 ათასი ლარი, რომლის ფარგლებშიც თანხის განკარგვა განხორციელდება საკრებულოს მიერ დამტკიცებული წესის (ჯანმრთელობის, სოციალურის, სტიქიური მოვლენების დროს დაზარალებულთა დახმარების და ასევე სხვა გადაუდებელი ღონისძიებების დაფინანსება) მიხედვით;

- წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი - 300.0 ათასი ლარი;
- საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება - 45.0 ათასი ლარი;
- მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება - 80.0 ათასი ლარი;

II. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება - 266,036.6 ათასი ლარი, მათ შორის:

- საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 115,678.1 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს შემდეგ სამუშაოებს:

ასფალტირებული და რკინა-ბეტონის საფარის ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები - საერთო ფართობი - 77,146 კვ.მ;

ვიდეო-სათვალთვალო კამერების მოვლა-პატრონობა - 1366 ერთეული;

არასასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;

საგზაო ინფრასტრუქტურის (ტროტუარი, ბორდიური, ქვაფენილი, ბოძკინტი) მოვლა-შენახვის ღონისძიებები;

დეკორატიული გზაგამყოფი ღობეების მოვლა-პატრონობა;

გარე განათების წერტილების მოვლა-ექსპლოატაცია;

გარე განათების სისტემის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის გადასახადი;

ქ. ბათუმში, ქუჩების გარე განათების კაპიტალური სამუშაოები;

ინფრასტრუქტურის სამუშაოები განხორციელდება შემდეგი უბნების გზებსა და ქუჩებზე:

ქ. ბათუმში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩის და ზღვისპირის ქუჩის დამაკავშირებელი ახალი გზის მშენებლობა;

ქ. ბათუმში, რეჯებ ნიჟარაძის ქუჩის კეთილმოწყობა;

ქ. ბათუმში, ენვერ ხაბაძის ქუჩის კეთილმოწყობა;

ქ. ბათუმში, გენერალ გიორგი კვინიტაძის ქუჩის კეთილმოწყობა;

ქ. ბათუმში, ნევრესტან შაშიკაშვილის ქუჩის კეთილმოწყობა;

ქ. ბათუმში, ივანე მესხის ქუჩის კეთილმოწყობა;

ქ. ბათუმში, გენერალ ასლან აბაშიძის ქუჩის (ყოფილი შარტავას გამზირის კვეთიდან მამია ვარშანიძის ქუჩის კვეთამდე, მათ შორის გენერალ ასლან აბაშიძის I ჩიხი) კეთილმოწყობა;

ხახულის II შესახვევის რეაბილიტაცია (ხახულის ქუჩიდან მამია ვარშანიძის ქუჩამდე);

ქ. ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილის NI-დან აეროპორტის გზატკეცილის N93-მდე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;

ქ. ბათუმში, გაგარინის ქუჩის კეთილმოწყობა ასლან აბაშიძის ქუჩამდე;

ქ. ბათუმში, ალ. სულაბერიძისა და გ. ბრწყინვალეს ქუჩების კვეთიდან ალ. პუშკინის ქუჩამდე, ალ. პუშკინის ქუჩიდან იმედაშვილის ქუჩამდე და იმედაშვილის ქუჩა ბაქოს ქუჩამდე გზის რეაბილიტაცია;

ქ. ბათუმში, შავშეთის ქუჩის რეაბილიტაცია პეტრე ბაგრატიონის ქუჩიდან ბაქოს ქუჩამდე;

ი. ნონეშვილის ქ. NI-დან N6-მდე საავტომობილო გზაზე ტროტუარების მოწყობა;

ქ. ბათუმში, მამია ვარშანიძის და ხახულის ქუჩების (ალ. სულაბერიძისა და მ. ვარშანიძის ქუჩების კვეთიდან ფრ. ხალვაშის გამზირამდე) კეთილმოწყობის სამუშაოები;

ნიკო მუსხელიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია;

ქ. ბათუმში, მახვილაურის ქუჩის კეთილმოწყობა;

ქ. ბათუმში, მაჭახელას ქუჩის კეთილმოწყობა;

ქალაქ ბათუმში, ოპიზრების, ტაოს და აკაკი შანიძის ქუჩების რეაბილიტაცია (ფრიდონ ხალვაშის გამზირიდან ჭოროხის ქუჩამდე);

ქ. ბათუმში, ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩის კეთილმოწყობა ფრიდონ ხალვაშის გამზირიდან ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩის №48-მდე;

ქიქავას ქუჩის რეაბილიტაცია;

ქ. ბათუმში, ნ. გოგოლის ქუჩის (სერგი მესხის ქუჩის კვეთიდან ნ. გოგოლის და წმინდა დიაკონი სვერიანე აჭარელი აღმსარებლის ქუჩის კვეთამდე) კეთილმოწყობა;

ქ. ბათუმში, მ. ლერმონტოვისა და ი. ჯავახიშვილის ქუჩების დამაკავშირებელი გზის კეთილმოწყობა;

ქ. ბათუმში, დემეტრე თავდადებულის ქ. N10-ის მიმდებარედ ტროტუარის მოწყობა;

ქ. ბათუმში, მემედ აბაშიძის ქუჩაზე ტროტუარის კეთილმოწყობა ნიკოლოზ ბარათაშვილის კვეთიდან კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩის კვეთამდე და კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩაზე ტროტუარის კეთილმოწყობა ეგნატე ნინოშვილის ქუჩის კვეთამდე ;

ქ. ბათუმში, იაკობ გოგებაშვილის და შოთა რუსთაველის ქუჩების რეაბილიტაცია;

ქ. ბათუმში, მამია გოგოლიშვილის ქუჩა N57-ის მიმდებარედ ხიდის მოწყობა

ქ. ბათუმში, სათნოების ქუჩა N1-ის მიმდებარედ ხიდის მოწყობა

ქ. ბათუმში, მახვილაურის ქ. N55-ის მიმდებარედ ხიდის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქუჩის და ფიროსმანის ქუჩის დამაკავშირებელი ახალი გზის მოწყობა;

ქ. ბათუმში, შალვა ინასარიძის ქუჩის და ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩის დამაკავშირებელი ახალი გზის მოწყობა;

ქ. ბათუმში, მიხეილ ლერმონტოვის ქუჩის და გენერალ ასლან აბაშიძის ქუჩის დამაკავშირებელი ახალი გზის მოწყობა;

ქ. ბათუმში, გონიოს ყოფილი მეურნეობის ტერიტორიაზე გამავალი საავტომობილო გზის კეთილმოწყობა (მეორე ეტაპი);

სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები (99 მისამართი) (2024-2025 წწ.);

სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები (42 მისამართი) (2024-2025 წწ.);

სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები (59 მისამართი) (2025 წწ.);

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებებისთვის საჭირო გადაუდებელი სამუშაოები;

ვიდეო-სათვალთვალო კამერების შექმნა- მონტაჟი;

პრობლემატურ მონაკვეთებზე ბეტონის საფარის დაგება (2025-2026წწ.);

ქუჩების კაპიტალური რეაბილიტაციისა და მშენებლობის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა;

▪ სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება - 35,971.7 ათასი ლარი, კერძოდ ფინანსდება:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის შეუფერხებელი ფუნქციონირების შპს "ბათუმის ავტოტრანსპორტი"-ს სუბსიდირება (საოპერაციო დეფიციტის დაფარვა) და ასევე შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტისათვის" შექმნილი მუნიციპალური მიკროავტობუსის და ავტობუსების საფასურის დაფარვა.

ასევე ქალაქის სატრანსპორტო მართვის სისტემების, ველო და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

▪ საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება - 57,102.0 ათასი ლარი, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

ქალაქის სანიაღვრე სისტემის გაფართოების და გამტარუნარიანობის გაუმჯობესების მიზნით ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

სანიაღვრე ქსელების მიმდინარე მოვლა-ექსპლუატაცია,

ლევ და მარია კაჩინსკების ქ. N35-დან ადლიის ქუჩის პარალელურად ადლიის ქ. N76-მდე სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ივანე მესხის ქუჩა №14-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა

ქ. ბათუმში, იოანე ლაზის ქუჩა №5ა-ს მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ხახულის ქუჩის №66-დან №68-მდე სანიაღვრე სისტემის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის IV ჩიხის სანიაღვრე სისტემის მოწყობა;

ქ. ბათუმში, თამარ მეფის ქ. N47-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა (II ეტაჟი);

ქ. ბათუმში, გაზაფხულის ქუჩის N15-დან თბილისის ქუჩის N62-მდე სანიაღვრე სისტემის მოწყობა;

ქ. ბათუმში, იბერიის ქუჩის N24-ის მიმდებარედ სანიაღვრე სისტემის მოწყობა;

ქ. ბათუმში შპს „შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“-ს ბულვარში მდებარე ზღვის წყლის საქაჩი ძველი სატუმბო სადგურის დემონტაჟი და ახლის მშენებლობა;

ქ. ბათუმში, ილია ჭავჭავაძის და პეტრე მელიქიშვილის ქუჩების კვეთაში სანიაღვრე არხის მოწყობა;

სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის (სანიაღვრე სისტემები) სალიკვიდაციო სამუშაოები (17 მისამართი);

სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა.

წყლის სისტემების რეაბილიტაციის ფარგლებში - ქ. ბათუმში, კახაბრის დასახლებაში სასმელის წყლის სისტემის და 300 კვ.მ. სამარაგო-საწნეო რეზერვუარის მოწყობა;

ქ. ბათუმში, მწვანე კონცხის ადმინისტრაციულ ერთეულში სასმელი წყლის სისტემების მოწყობა;

ქ. ბათუმში მდინარე ყოროლისწყლის დამბისა და წყალმიმღები კონსტრუქციის მშენებლობა;

ქ. ბათუმში, ავგის ქ. №5, ჩიხი №1-ის მიმდებარედ 2000 კვ.მ. წყლის რეზერვუარის მშენებლობა და ავგის ქ. №5, ჩიხი №1-ის მიმდებარედ რეზერვუარამდე მკვებავი მაგისტრალისა და წყლის ქსელის მშენებლობა;

წყალმომარაგების ახალ ქსელზე დაერთების საფასურის დაფარვა (საყოფაცხოვრებო მოხმარების მიზნით -20 მმ დიამეტრის მილი);

კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაციის ფარგლებში - სარფის, კვარიათის, გონიოს, ახალსოფლის წყალარინების ქსელის (გრავიტაციული და საწნეო მილების) და წყალარინების გადამქაჩი სადგურების, რეაბილიტაცია/მშენებლობა

ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის მე-5 ფაზის სამუშაოებთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და მოსახლეობისათვის წყალმომარაგების მომსახურების გაუმჯობესება.

▪ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი - 35,197.3 ათასი ლარი, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სახურავები რეაბილიტაცია;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ლიფტების რეაბილიტაცია;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობისა და კომუნალური სისტემის მოწესრიგება;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობა-რეაბილიტაცია;

ქ. ბათუმში ე.წ. შანხაის დასახლებაში სოციალური სახლის მშენებლობა.

ავარიული სახლების დემონტაჟი- მშენებლობა, გამაგრება-რეაბილიტაციის სამუშაოები.

▪ მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა - 1,246.5 ათასი ლარი, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა.

▪ ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა - 14,214.2 ათასი ლარი, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

საქალაქო მეურნეობის მოვლა-პატრონობა, რეაბილიტაცია, დაგეგმვა, მოწყობა და განვითარება, მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების კოორდინაცია.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, კვლევა და ექსპერტიზა;

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ფარგლებში შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ან მათი რეაბილიტაციის შემთხვევაში, ასევე ავარიული, სარემონტო ან/და დაზინებული შენობა ნაგებობების დროს დაზარალებული მოქალაქეთა ბინის ქირითა და საკომპენსაციო თანხებით უზრუნველყოფა

▪ ქალაქის კეთილმოწყობა - 6,626.8 ათასი ლარი, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

საშობაო-საახალწლო დღესასწაულისათვის ქალაქის გაფორმება;

წლის განმავლობაში ქალაქის გაფორმების ღონისძიებები;

ბიუსტების, ძეგლების და ქანდაკებების მოვლა-დასუფთავება;

ქუჩის მანიშნებლების დამზადება-მონტაჟი;

ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა;

III. ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება - 42,462.4 ათასი ლარი, დაფინანსდება შემდეგი პროგრამები კერძოდ:

ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება - 23,430.0 ათასი ლარი, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

ქალაქის დასუფთავების რეგულარული სამუშაოები;

ქალაქის დასუფთავების დამატებითი სამუშაოები;

ნარჩენების გატანა;

ნაგავსაყრელის ექსპლუატაცია და სანიტარული მომსახურება

ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება - 19,032.4 ათასი ლარი, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

ქ. ბათუმში, ფრ. ხალვაშის გამზირი N374-ის მიმდებარედ არსებულ ნაძვნარში სკვერის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ძმები ნობელების ქუჩა N41-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა;

დაბა ჩაქვი, თამარ მეფის გამზირზე ს/კ20.48.02.068 სკვერის მოწყობა;

ფრიდონ ხალვაშის გამზირის მიმდებარედ, შანიძის ქუჩის კვეთიდან, ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩის კვეთამდე სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია;

ქ. ბათუმში, დავით აღმაშენებლის ქუჩა N7-ის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია;

ქ. ბათუმში, ინასარიძის ქუჩა N6-ის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია;

ქ. ბათუმში, გორგილაძის ქუჩა N54-ის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია;
 ქ. ბათუმში, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N47-ის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია;
 ქ. ბათუმში, გოდერძი ჩოხელის ქუჩა N45-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა;
 ქ. ბათუმში, ზ. ნაჭყებიას ქუჩა N2-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა;
 ქ. ბათუმში, დიმიტრი სვიშჩევსკის ქუჩა N36-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა;
 ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის მე-7 შესახვევი N5ა-ს მიმდებარედ სკვერის მოწყობა;
 ქ. ბათუმში, კახაბრის ქუჩა N32-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა;
 ქ. ბათუმში, სელიმ ხიმშიაშვილის ქუჩა N37-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა;
 ქ. ბათუმში, ტბეთის შესახვევი N11-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა;
 ქ. ბათუმში, პარმენ რურუას ქუჩა N4-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა;
 ქ. ბათუმში, პარმენ რურუას ქუჩა N13-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა;
 ქ. ბათუმში, სერგი მესხის ქუჩა N40-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა;
 ქ. ბათუმში, მამია ვარშანიძის ქუჩა N209-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა;
 ქ. ბათუმში, მამია ვარშანიძის ქუჩა N165ბ-ს მიმდებარედ სკვერის მოწყობა;
 ქ. ბათუმში, რეზო თაბუკაშვილის ქუჩა N19-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა;
 ქ. ბათუმში, იოსებ გრიშაშვილის ჩიხი N4ა-ს მიმდებარედ სკვერის მოწყობა;;
 ქ. ბათუმში, თამარის დასახლება N6-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა;
 ქ. ბათუმში, კახაბერის ქ. N28-ში არსებული სპორტული მოედნის მიმდებარედ სკვერის მოწყობა;
 ქალაქის გამწვანების მიმდინარე ღონისძიებები;
 სანერგე-სასათბურე მეურნეობის მოვლა-ექსპლუატაცია;
 ხე-მცენარეების შექმნა-დარგვა;
 მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.

IV. განათლება - 50,584.1 ათასი ლარი, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი პროგრამები:

სკოლამდელი აღზრდა და განათლება - 50,369.1 ათასი ლარი, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა:

- საბავშვო ბაღების მართვა-აღმინისტრირება;
- საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა კვებით უზრუნველყოფა;
- საბავშვო ბაღების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;
- საბავშვო ბაღების თანამშრომელთა ტრენინგები.

ბათუმში საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის (ენერგორევექტიანობა - KfW ბანკი) პროექტის დამატებითი თანადაფინანსება;

საბავშვო ბაღების შენობების კეთილმოწყობა (დემონტაჟი-მშენებლობა-გამაგრება-რეაბილიტაცია)

- ქ. ბათუმში, ნიკო მუსხელიშვილის ქ. N33 „დ“-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა;
- ქ. ბათუმში, ივანე მესხის I ჩიხი N7-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა.

სკოლამდელი აღზრდა და განათლება - 215.0 ათასი ლარი, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის.

V. კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი - 32,163.7 ათასი ლარი,
რომელიც მოიცავს:

მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 01)

*ეზოს ფეხბურთი, საპლაჟო და ფუტსალი,
სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვთა სპორტული სექცია;
სასკოლო ოლიმპიადა;
ქვიშის სახეობების ფესტივალი;
სპორტული ბანაკი;
მხიარული თამაშები;
ველო მარათონი;
საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;
ბათუმობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიება;
ბავშვთა დღისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიება;
მინდვრის ჰოკეის სექციის განვითარება;
ქვიშის ჭიდაობის სექცია;*

ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01)

*მართვა და ადმინისტრირება;
ინფრასტრუქტურის მოწყობა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;
სპორტული ცენტრის ბაზაზე ჰოკეის კლუბის განვითარება;
სპორტული ცენტრის ბაზაზე ფიგურული ციგურაობის კლუბის განვითარება;
ამპუტანტ ფეხბურთელთა მხარდაჭერის პროგრამა,
სანიჩბოსნო სპორტის განვითარების ხარჯები (ზაიდარკები).
ქალთა ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა;
წყალბურთის განვითარების ხელშეწყობის სექცია;
ქართული ჭიდაობის სექციის განვითარების ხელშეწყობა.*

კულტურული ღონისძიებების მართვა (პროგრამული კოდი 05 03 01)

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრის დაფინანსება ქალაქში სხვადასხვა კულტურული აქტივობების ორგანიზებისა და მართვის მიზნით.

ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 03 02)

- 3 და 8 მარტი - დედის და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;
- 23 მარტი - 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;
- 9 აპრილი - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღისა და საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- ბათუმობის ღონისძიებები;
- 9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- წილხვდომილობის დღესასწაული;
- 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- 1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;
- 8-11 აგვისტო - 2008 წლის აგვისტოს ომში მონაწილეთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;
- ქალაქის საახალწლო - სადღესასწაულო ღონისძიებები.

კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 03 03)

ებრაული, აზერბაიჯანული, უკრაინული, რუსული, სომხური, იეზიტური, თურქული, ბერძნული და გერმანული ეთნიკური უმცირესობების ჯგუფის მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება.

საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 03 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება კონკურსის წესით შერჩეული სხვადასხვა ფესტივალების მხარდაჭერა, რაც გაზრდის კულტურასა და ხელოვნებაზე ხელმისაწვდომობას და მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქალაქში კულტურული ცხოვრების გააქტიურებას, ხელოვნების სხვადასხვა დარგის განვითარებას.

კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 03 05)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს კულტურისა და ხელოვნების სფეროში პროექტების (თავისუფალი ინიციატივები) მხარდაჭერას.

ფოლკლორის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04 01)

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრთან არსებული ენვერ ხაბაძის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბათუმის“ დაფინანსება;

შემოქმედებითი კოლექტივების ფორმითა და ინსტრუმენტებით აღჭურვა.

თანამედროვე მუსიკის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04 02)

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრთან არსებული ჯაზ-ბიგ ბენდის და ჯგუფი „GEO PLANET“-ის დაფინანსება;

კლასიკური მუსიკის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04 03)

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრთან არსებული ქალთა კამერული გუნდის, სიმებიანი კვარტეტის და სასულე ორკესტრის დაფინანსება;

ხელოვანთა ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04 04)

ლონისძიება „წლის ხელოვანი“

ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა (პროგრამული კოდი 05 04 05)

მუნიციპალური ბიბლიოთეკების მართვა-აღმინისტრირება;

კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებები;

ბეჭდური გამოცემების შექმნა, წიგნადი ფონდის შევსება-განახლება;

ბიბლიოთეკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 05 01)

ქ. ბათუმში, ლუკა ასათიანის ქ.N25-ში მდებარე მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი) რეაბილიტაცია-გამაგრება;

ქ. ბათუმში, შ. რუსთაველის ქ. N51-ში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მონიტორინგის და პროგნოზირების ცენტრის შავი ზღვის ფილიალის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია;

ახალგაზრდული ცენტრი (პროგრამული კოდი 05 06 01)

ახალგაზრდული ცენტრის მოვლა-პატრონობა, ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა; არაფორმალური განათლების ხელშეწყობა;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობა და საინფორმაციო აქტივობები;

ახალგაზრდულ ბანაკებში მონაწილეობის ხელშეწყობა;

მონაწილეობის ხელშეწყობი ღონისძიებები: ახალგაზრდების ინიციატივების მხარდაჭერა;

მოხალისეთა კლუბი, ახალგაზრდული ფორუმი;

წლის შემაჯამებელი, საანგარიშო ღონისძიება;

ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 06 02)

ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის?;

ინტელექტუალური მედიაპროექტი „ეტალონი“.

VI. ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 29,327.5 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს:

პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნებს, ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობას, (ბენეფიციართა რაოდენობა -17816) საზოგადოების ცალკეული კატეგორიების სოციალური პრობლემების გაუმჯობესებას (ბენეფიციართა რაოდენობა - 39900) და დაავადებათა გავრცელების რისკ-ფაქტორების შემცირებას.

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა;

- ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა და პრევენცია;
- ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია;
- მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება;
- შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო სამკურნალო-რეაბილიტაცია;
- ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია;
- ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა

მატერიალური დახმარება;

- მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება;
- თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება;

სოციალური პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება;
- მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა;
- მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება;
- მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის

საჭიროების მქონე პირთა დახმარება;

- მუნიციპალური უფასო სასადილო;
- დროებითი ღამის თავშესაფარი;
- საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა;
- მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მინიმალური სოციალური პრობლემის

შექმნა;

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მხარდაჭერა;
- მოწყვლადი სოციალური ჯგუფის ოჯახების გაძლიერება.

სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- ბათუმის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების სანიტარული მონიტორინგი;
- დეზინსექცია დერატიზაციის ღონისძიებები;
- მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები

VII. ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება - 818.6 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარების და განაშენიანების მართვის დოკუმენტაციის დასრულებას და მუნიციპალური კვლევების მომზადება და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

VIII. მუნიციპალური სერვისების განვითარება - 14,207.6 ათასი ლარი, კერძოდ განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

მუნიციპალური სერვისების ეფექტურობის გაზრდისა და უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ელექტრონული სერვისების დანერგვა და განვითარება;
- ა(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების სააგენტო;
- მუნიციპალური სერვის-ცენტრების მშენებლობა;
- თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა;
- ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში:

- ✓ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 38,318.0 ათასი ლარი;
- ✓ ეკონომიკური საქმიანობა - 145,544.3 ათასი ლარი;
- ✓ გარემოს დაცვა - 42,968.7 ათასი ლარი;
- ✓ საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 102,260.6 ათასი ლარი;
- ✓ ჯანმრთელობის დაცვა - 9,777.2 ათასი ლარი;
- ✓ დასვენება, კულტურა და რელიგია - 51,196.1 ათასი ლარი;
- ✓ განათლება - 50,584.1 ათასი ლარი;
- ✓ სოციალური დაცვა - 18,500.4 ათასი ლარი;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პირველ ვერსიაში განხორციელებული ცვლილებები დეტალური განმარტებით დანართის სახით თან ერთვის (დანართი 2).

დასახელება	2025 წლის პროექტი (მოქმედი რედაქცია)	2025 წლის პროექტი (ცვლილების შემდეგ)	ცვლილება +/-
შემოსულობები	447,000.0	455,000.0	8,000.0
შემოსავლები	434,000.0	442,000.0	8,000.0
გადასახადები	115,911.9	115,911.9	
გრანტები	227,202.1	232,202.1	5,000.0
სხვა შემოსავლები	90,886.0	93,886.0	3,000.0
არაფინანსური აქტივების კლება	13,000.0	13,000.0	
გადასახდელები	492,000.0	500,000.0	8,000.0
ხარჯები	270,312.0	267,972.4	-2,339.6
შრომის ანაზღაურება	55,436.1	55,455.3	19.2
საქონელი და მომსახურება	88,783.1	88,779.1	-4.0
პროცენტი	6,082.5	6,082.5	
სუბსიდიები	28,238.5	28,238.5	
გრანტები	15.0	15.0	
სოციალური უზრუნველყოფა	20,076.3	20,076.3	
სხვა ხარჯები	71,680.5	69,325.7	-2,354.8
არაფინანსური აქტივების ზრდა	180,837.4	191,177.0	10,339.6
ვალდებულებების კლება	40,850.6	40,850.6	
ნაშთის ცვლილება	-45,000.0	-45,000.0	0.0

